

„სახელმწიფო სტიპენდიები სტუდენტებს“ შერჩევის კრიტერიუმები

კრიტერიუმების კოდიფიცირებული ვერსია ეფუძნება რექტორის ბრძანებას, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა საბჭოს 2014 წლის 18 დეკემბრის, 2015 წლის 27 აპრილის და 2015 8 ივლისის დადგენილებებს.

კანდიდატთა შეფასება ხდება 100 ქულიანი სისტემით:

ა) აკადემიური მოსწრება – 80 ქულა (გამოთვლილია სტუდენტის მიერ წინა სემესტრში სასწავლო კურსებში (არანაკლებ 27 კრედიტი) მიღებული ქულების საშუალო არითმეტიკულის გამოანგარიშებით).

ბ) სამეცნიერო ნაშრომის გამოქვეყნება - მაქსიმუმ 10 ქულა (წინა სემესტრში გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომი, ქულის დადგენა ხდება ფაკულტეტის საბჭოს მიერ დამტკიცებული სტუდენტთა სამეცნიერო საქმიანობის შეფასების კრიტერიუმების მიხედვით)

გ) სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობა - მაქსიმუმ 10 ქულა

ფასდება წინა სემესტრში გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომი ან კონფერენციაში მონაწილეობა. ქულის დადგენა ხდება ფაკულტეტის საბჭოს მიერ დამტკიცებული სტუდენტთა სამეცნიერო საქმიანობის შეფასების კრიტერიუმების მიხედვით (დანართი 1) აუცილებელია მონაწილეობის დამადასტურებელი დოკუმენტის წარდგენა; ერთ კონფერენციაზე არ შეიძლება ორ მოხსენებაზე მეტის წარდგენა)

თანაბარ პირობებში გათვალისწინებული იქნას:

წინა სემესტრში მიღებული ქულების საფუძველზე გამოთვლილი GPA. საჭიროების შემთხვევაში (თანაბარ პირობებში) დამატებით გათვალისწინებული იქნება GPA (ყველა წინა სემესტრის)

სტუდენტების სამეცნიერო საქმიანობის შეფასების კრიტერიუმები

1. სამეცნიერო ნაშრომი (ქულა იყოფა თანაავტორთა რაოდენობაზე)
 - 1.1 ნაშრომი იმპაქტ ფაქტორის მქონე (JCR) საერთაშორისო მაღალრეიტინგულ ჟურნალში - 10 ქულა
 - 1.2 ნაშრომი საერთაშორისო რეფერირებად (ISSN მქონე) ჟურნალში, რომელიც იძებნება GOOGLE SCHOLAR-ში - 5 ქულა
 - 1.3 ნაშრომი არარეფერირებად გამოცემაში, რომელიც იძებნება GOOGLE SCHOLAR-ში - 2 ქულა
 - 1.4 ნაშრომი საერთაშორისო ჟურნალში, რომელიც არ იძებნება GOOGLE SCHOLAR-ში - 1 ქულა
 - 1.5 ნაშრომი ადგილობრივ სამეცნიერო გამოცემებში 1 ქულა
 - 1.6 ნაშრომი ადგილობრივ სამეცნიერო-პოპულარულ გამოცემებში 0.5 ქულა
 - 1.7 საერთაშორისო კონფერენციის აბსტრაქტები/თეზისები - 1 ქულა
 - 1.8 ადგილობრივი კონფერენციის აბსტრაქტები/თეზისები - 1 ქულა
2. სამეცნიერო კონფერენციები (ქულა იყოფა თანაავტორთა რაოდენობაზე)
 - 2.1 ზეპირი მოხსენება საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციაზე - 10 ქულა
სასტენდო მოხსენება საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციაზე - 5 ქულა
 - 2.2 ზეპირი მოხსენება საფაკულტეტო სამეცნიერო კონფერენციაზე - მაქსიმუმ 5 ქულა
 - 2.2.1 კვლევითი: შეფასება მაღალი - 4-5 ქულა; შეფასება საშუალო -2-3 ქულა; შეფასება დაბალი - 0-1 ქულა
 - 2.2.2 სამეცნიერო-რეფერატული: შეფასება მაღალი - 1.5 ქულა; შეფასება საშუალო - 1 ქულა; შეფასება დაბალი - 0-0.5 ქულა
 - 2.3 სასტენდო მოხსენება საფაკულტეტო სამეცნიერო კონფერენციაზე - 2.5 ქულა
 - 2.4 საერთაშორისო სამეცნიერო სემინარი - 5 ქულა
 - 2.5 ადგილობრივი სამეცნიერო სემინარი 2.5 ქულა
 - 2.6 საუნივერსიტეტო სამეცნიერო სტუდენტური კონფერენცია
 - 2.6.1 I ადგილი 3 ქულა
 - 2.6.2 II ადგილი - 2 ქულა
 - 2.6.3 III ადგილი - 1 ქულა
 - 2.6.4 მონაწილეობა 0.5 ქულა
 - 2.7 ადგილობრივი სამეცნიერო კონფერენცია, - მაქსიმუმ 3 ქულა
 - 2.7.1 ზეპირი მოხსენება: შეფასება მაღალი - 3 ქულა; შეფასება საშუალო - 1.5 ქულა; შეფასება დაბალი - 0.5 ქულა; თუ კომისიის მიერ შეფასება არ მომხდარა - 0.1
 - 2.7.2 სასტენდო მოხსენება: შეფასება მაღალი - 1.5 ქულა; შეფასება საშუალო - 0.75 ქულა; შეფასება დაბალი - 0.25 ქულა; თუ კომისიის მიერ შეფასება არ მომხდარა - 0.05
 - 2.8 სხვა კონფერენციების შესაფასებლად იხილეთ 2.7
 - 2.9 სტუდენტურ შეჯიბრებებში მონაწილეობა რანგის შესაბამისად უტოლდება

მოხსენებას.

წინასწარ დამტკიცებული კომისია ავასებს სტუდენტს 2.2 და 2.7 პუნქტების შესაბამისად. საბოლოო ქულა არის კომისიის წევრთა მიერ მინიჭებული ქულების საშუალო არითმეტიკული დამრგვალებული მესაედის სიზუსტით. მინიჭებული ქულა იყოფა ავტორთა რაოდენობაზე.

საფაკულტეტო სამეცნიერო სტუდენტური კონფერენციის გარდა სხვა სამეცნიერო კონფერენციაში მონაწილეობა ფასდება 0.1 ქულით. სხვა სამეცნიერო კონფერენციაზე წარმოდგენილი მოხსენების საფაკულტეტო კონფერენციაზე წარმოდგენის შემთხვევაში შეფასება მოხდება ზემოაღნიშნული კრიტერიუმებით.

საჭიროების შემთხვევაში მოთხოვნის შესაბამისად წარმოდგენილი უნდა იქნეს დამატებითი ინფორმაცია, მაგ. სათაური, აბსტრაქტი, მოხსენება, ხელმძღვანელის რეკომენდაცია ან დასკვნა სამეცნიერო ნაშრომში აპლიკანტის წვლილის მითითებით